

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლა

ნინო აბაიშვილი

პაროდონტის ანთებით დაავადებათა პროგნოზული

მახასიათებლები და კორელაციები სომატურ დაავადებებთან

ქართველ სტუდენტთა პოპულაციაში

ანოტაცია

მიზანი: პაროდონტის ანთებით დაავადებათა პროგნოზული მახასიათებლების დადგენა და კორელაციური კავშირის განსაზღვრა სომატურ დაავადებებთან ქართველ სტუდენტთა პოპულაციაში. კვლევა ჩატარდა 18-35 წლის ასაკის 400 სტუდენტის კლინიკური გამოკვლევისა და ანონიმური კითხვარის საშუალებით.

სტუდენტებს, რომლებსაც გამოუვლინდათ პაროდონტის ანთებითი დაავადება, აღენიშნებოდათ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიის, ანემიის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ფოკალური ინფექციის კერების, სტრესის მაღალი სიხშირე. უპირატესად ნახშირწყლოვანი კვება, ტკბილი და ცხარე საკვების ხშირი მოხმარება, სწრაფი კვება, სინთეზური სითხეების გამოყენება, დიეტა, მოწვევა, ცუდი ან ძალიან ცუდი ჰიგიენური დონე. პაროდონტის ანთებითი დაავადებების გავრცელება სტუდენტებში აგრეთვე დამოკიდებულია სოციალურ ფაქტორებზე.

პაროდონტის ანთებითი დაავადებების განვითარების ფარდობით შანსს ზრდის: არადამაკმაყოფილებელი $OR=(14.94, 95\%CI=6.82-69.91)$ და ცუდი ჰიგიენური დონე $OR=34.41(95\%CI=7.85-95.22)$, ჯაგრისის წრიული მოძრაობა $OR=8.95, (95\%CI=5.27-15.21)$; ლორწოვანის ტრავმები $OR=6.12(95\%CI=1.10-33.95)$, სოფელში ცხოვრება $OR=4.78 (95\%CI=1.66-13.78)$; ემოციური სტრესი $OR=2.89(95\%CI=1.39-6.03)$; ალერგია $OR=1.76(95\%CI=1.07-2.88)$; ფოკალური ინფექციის კერები $R=11.06(95\%CI=2.26-31.31)$, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები $(OR=2.89(95\%CI=1.39-6.03)$; პერიფერიულ სისხლძარღვთა დაავადებები $OR=15.52(95\%CI=1.79-134.50)$, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები $OR=11.06(95\%CI=2.26-54.15)$; სიგარეტის წევა $OR=1.65(95\%CI=1.00-2.71)$, უპირატესად ნახშირწყლოვანი კვება $OR=6.33(95\%CI=3.79-10.57)$; ცხარე საკვების ხშირი მიღება $OR=1.67 (95\%CI=1.05-2.65)$, ტკბილეულის ხშირი მიღება $OR=5.86 (95\%CI= 3.57- 9.61)$,

სწრაფი კვება OR=1.66 (95%CI=1.05-2.62), სინთეზური სასმელების მიღება OR=2.15(95%CI=1.29-3.60). ფარდობით შანსს ამცირებს: მდედრობითი სქესი OR=0.50 (95%CI=0.31-0.80), ჯაგრისის ვერტიკალური მოძრაობა OR=0.19(95%CI=0.12-0.31), ფლოსის გამოყენება OR=0.56(95%CI=0.32-0.97; უპირატესად ცილოვანი კვება OR=0.16(95%CI=0.10-0.27); ჯანსაღი კვების რეჟიმი OR=0.20(95%CI=0.12-0.36); ორთოგნათიული თანკბილვა OR=0.14(95%CI=0.08-0.23), მშობლების უმაღლესი განათლება OR=0.02(95%CI=0.01-0.03).

გინგივიტთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: სტრესი, ალერგია, თირკმლის უკმარისობა, კუჭ-ნაწლავის პათოლოგია, ჰიპოვიტამინოზი, პერიფერიულ სისხლძარღვთა დაავადება, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ფოკალური ინფექციის კერები.

პაროდონტიტთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: ძვალ-სახსროვანი სისტემის თანდაყოლილი ანომალიები, შემაერთებელი ქსოვილის დისპლაზია, დიაბეტი, სტრესი, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, პერიფერიულ სისხლძარღვთა დაავადებები, ფოკალური ინფექციის კერები.